## საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ნოემბერი 2016წ. **ბრძანება N01-09/840**

ქ. ბათუმი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის№134 დადგენილების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის №47 -ე და 2016 წლის 24 ოქტომბრის № 90 დადგენილებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 10 ნოემბრის სამსახურეობრივი ბარათის № 1350676 საფუძველზე,

*ვბრძანებ:*

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლებლად ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებზე 2016-2017 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ იქნან დოქტორანტობის კანდიდატები დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან და კანცელარიასთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
4. ამ ბრძანების გამოცემიდან 7 კალენდარული დღის ვადაში დოქტორანტებმა გაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაცია.
5. ბრძანება გაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს და ჩარიცხულ დოქტორანტებს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.
7. ბრძანება მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30.)

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ

ბრძანება 01-09/840

დანართი 1.

| № | გვარი | სახელი | პირადი ნომერი | სპეციალობა | ფაკულტეტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხალვაში | ხათუნა | | ლინგვისტიკა | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა |
| 2. | დიასამიძე | ხათუნა | | ლინგვისტიკა | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა |
| 3. | ცეცხლაძე | მარიამ | | ისტორია | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა |